ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11623/01
26/11/2019

11623-01-2-201911261722

შპს „ფაზის ოილს“
მის: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის
რაიონი, ქიაჩელის ქ.,№2

2019 წლის 19 ნოემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში თქვენს მიერ წარმოდგენილ განცხადებასთან (N16604) დაკავშირებით, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში სოფ. ყულევში დაგეგმილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშს გაცნობებთ, რომ გარკვეული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას:

- წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში „სკოპინგის ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი და მიზნების“ ქვეთავში მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა, კერძოდ „10 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ან/და წვის სხვა დანადგარის მშენებლობა და ექსპლუატაცია“, რასთან დაკავშირებითაც გარდა უშუალოდ საქმიანობის დასახელებისა სკოპინგის ანგარიშში სხვა სახის დეტალური ინფორმაცია თბოელექტროსადგურის ან/და წვის სხვა დანადგარის შესახებ არ არის მოცემული, შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი საწარმოს განახლებული გენგეგმა საჭიროებს დაზუსტებას შესაბამისი ექსპლიკაციით, ვინაიდან მოცემულ გენგეგმაზე არ იდენტიფიცირდება ნედლი ნავთობის, ბენზინის, დიზელის და მაზუთის სარეზერვუარო პარკები, აგრეთვე სხვა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ობიექტები;

- წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია 2019 წლის 18 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N 2-47) გათვალისწინებული რეზერვუარების ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ არ არის წარმოდგენილი რა სახის ცვლილებები იგეგმება უშუალოდ რეზერვუარებთან მიმართებაში (შედარება 2019 წლის 18 იანვარის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ რეზერვუარებსა და დაგეგმილ ცლილებას შორის, ცვლილების ანალიზის ამსახველი ინფრომაცია);

- სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს დეტალური ინფორმაცია საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის შესახებ (მიღება, გადამუშავება, გაცემა), ამასთან

ნავთობის რაფინირების ტექნოლოგიური სქემა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე შესაბამისი ექსპლიკაციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება განახლდება მას შემდეგ, რაც წერილში მოცემულ საკითხებთან ერთად უზრუნველყოფილი იქნება შენიშვნების შესაბამისად შესწორებული დოკუმენტაციის (განახლებული სკოპინგის ანგარიშის) წარმოდგენა სამინისტროში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე